

ოქმი #7

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 18 დეკემბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი, მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, თ. დათუაშვილი, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, დ. კაპანაძე, ვ. კოკილაშვილი, ა. კვინიხიძე, გ. ლავრელაშვილი, ი. კილურაძე, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჭკადუა, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 21 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის დირექტორის მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა;
2. ინსტიტუტის შენობის საკითხისა და სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის შექმნის საკითხის შესახებ მომზადებული წერილის განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა მის მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში (აღნიშნული ანგარიში ოქმს თან ერთვის).

სამეცნიერო საბჭომ დადებითად შეაფასა ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ ბატონი ი. კილურაძის მიერ მომზადდა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე, სადაც განხილულია ინსტიტუტის კუთვნილ შენობაში დაბრუნების საკითხი და ასევე სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის შექმნის საკითხი. წერილი ერთი კვირით ადრე დაეგზავნა ელექტრონული ფოსტით საბჭოს ყველა წევრს განსახილველად.

ელექტრონული ფოსტით აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება დააფიქსირა ბატონმა ხ. ინასარიძემ (რომელიც დღეს სხდომას არ ესწრება) და წერილის შესაბამისად შესწორებული ვარიანტი დააგზავნა საბჭოს წევრებთან. თუმცა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წერილის პირვანდელ ვარიანტს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭომ მოიწონა აღნიშნული წერილი წარმოდგენილი სახით და ღია კენჭისყრით (20 - მომხრე, 1 - თავი შეიკავა) მხარი დაუჭირა, რათა წერილი გაიგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან, რაც წერილზე ხელმოწერებით იქნა დადასტურებული (აღნიშნული წერილი ოქმს თან ერთვის).

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის

ნ ი ნ ო ფ ა რ ც ვ ა ნ ი ა ს მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ს

- ა) კონტროლს ვუწევდი ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებას.
- ბ) შევიმუშავე და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად და დასამტკიცებლად წარვუდგენე ინსტიტუტის 2020 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის პროექტი (ივლისი, 2019 წელი).
- გ) განვახორციელე სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსების ჩატარების ადმინისტრაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა, მხარს ვუჭერდი საკონკურსო პროცესებს (იანვარი-მარტი და აპრილი-ივნისი, 2019 წ.).
- დ) ვესწრებოდი და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებში.
- ე) მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩავატარეთ ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული თსუ-ს ბალანსზე რიცხული ქონების სრული ინვენტარიზაცია 01.10.2019 წლის მდგომარეობით და მისი შედეგები წარვუდგინეთ (ინსტიტუტის საინვენტარიზაციო კომისიასთან ერთად) თსუ ცენტრალურ საინვენტარიზაციო კომისიის აპარატს (დეკემბერი, 2019 წელი).
- ვ) მხარს ვუჭერდი სამი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის - „ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ (გამოდის 1937 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში), „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“ (გამოდის 1994 წლიდან, გამოსცემს DE GRUYTER, 2008 წლიდან აქვს იმფაქტ-ფაქტორი) და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (გამოდის 1994 წლიდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში) - გამოსაცემად მომზადების პროცესს და დაბეჭდვას.
- ზ) ვხელმძღვანელობდი ინსტიტუტის ორი საერთაშორისო ჟურნალის („ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“ – 173-ე ტომის ## 1, 2, 3, და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ – 76-ე, 77-ე, 78-ე ტომები) უცხოეთის 90-მდე სამეცნიერო დაწესებულებასთან გაგზავნის პროცესს.
- თ) ინსტიტუტში ჩავატარეთ (ვიყავი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში - QUALITDE-2019 (7-9 დეკემბერი, 2019 წელი, http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2019/workshop_2019.htm).

ი) ხელს ვუწყობდი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ 2019 წელს შედგა ინსტიტუტის თანამშრომელთა 45-ზე მეტი სამეცნიერო ვიზიტი საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში, ამათგან 22 ვიზიტი ფინანსურად მხარდაჭერილი იყო ინსტიტუტის ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით 2019 წელს ინსტიტუტს სამეცნიერო ვიზიტით სტუმრობდნენ მეცნიერები ჩინეთიდან, გერმანიიდან და ჩეხეთის რესპუბლიკიდან.

კ) უზრუნველყავი საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება ინსტიტუტის 2019 წლის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად.

ლ) ვასრულებდი და/ან ვხელმძღვანელობდი თსუ-ს შესაბამისი მართვის ორგანოებიდან მიღებულ სხვადასხვა დავალებებს.

ნინო ფარცვანია

2019 წლის 18 დეკემბერი

ბატონო მიხეილ,

როგორც თქვენთვის კარგად ცნობილია, 2006-2010 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ დაანგრია სამეცნიერო კვლევით დაწესებულებათა ერთიანი სისტემა, ხოლო შემდგომ ქვეყნის კანონმდებლობის უხეში დარღვევით კვლევით ინსტიტუტებს წაართვა ავტონომია და გაურკვეველი სტატუსის მქონე სტრუქტურულ ერთეულებად მიუერთა სახელმწიფო უნივერსიტეტებს. უფრო მეტიც, რამდენიმე ინსტიტუტი კუთვნილი შენობებიდანაც კი გამოაძევეს. მათ შორის აღმოჩნდა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც 2010 წლიდან მიერთებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შეხიზნულია ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის რამდენიმე ოთახში. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდი კი გამოკეტილია უნივერსიტეტის საწყობში და მასზე თანამშრომლებს ხელი არ მიუწვდებათ.

2012 წელს გაჩნდა იმედი, რომ დაიწყებოდა ნაციონალების მიერ ქართული მეცნიერების წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამოსწორების პროცესი. იყო კიდეც არაერთი სიტყვიერი დაპირება ინსტიტუტისთვის სტატუსის აღდგენისა და ქონების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ დაპირებები დაპირებებად დარჩა. ინსტიტუტის თანამშრომლები დღემდე მოკლებულნი არიან ელემენტარულ სამუშაო პირობებს, მათი კუთვნილი შენობა კი კვლავ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ების მიერ არის ოკუპირებული.

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის წიაღში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში ჩამოყალიბდა მსოფლიოში აღიარებული ქართული მათემატიკური სკოლა, არა მარტო დიდი ტრადიციების მატარებელია, არამედ დღემდე რჩება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად და საქართველოს ხელისუფლებისაგან ასეთ იგნორირებას ნამდვილად არ იმსახურებს. თქვენდამი რწმუნებული სამინისტროს ღირსების საქმეა, რომ ინსტიტუტს უახლოეს მომავალში დაუბრუნოს უკანონოდ ჩამორთმეული შენობა. ეს შენობა, სადაც ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერების კორიფეები, ჩვენი ეროვნული კულტურის ძეგლია და იქ სწორედ ის დაწესებულება უნდა ფუნქციონირებდეს, რისთვისაც აიგო.

დღეისათვის საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი, ძირითადად, კვლავ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებშია თავმოყრილი. მეორეს მხრივ, არც ისაა დასაძალი, რომ მეცნიერთა შრომითი ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე უფრო დაბალია და თუ სიტუაცია რადიკალურად არ შეიცვალა, მალე დაიწყება ამ ინსტიტუტების რღვევის პროცესი, რაც საბოლოოდ დააკნინებს ქართულ მეცნიერებას და კიდევ უფრო დაბლა დასწევს განათლების დონეს.

განათლების რეფორმა, რომელზეც ასე დიდ იმედებს ამყარებს როგორც ხალხი, ისე ხელისუფლება, სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, თუ პარალელურად არ მოხდება სამეცნიერო სფეროს რეფორმირება ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით.

ევროპის როგორც დიდ, ისე მცირე ქვეყნებში ფუნქციონირებს ფართო ქსელი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, რომლებიც, როგორც ავტონომიური ერთეულები, გაერთიანებული არიან მრავალდარგოვან ეროვნულ სამეცნიერო სისტემებში. გერმანიაში ასეთი სისტემაა მაქს პლანკის საზოგადოება (MPG, წლიური დაფინანსებაა 1,717 მილიარდი ევრო), საფრანგეთში – სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრი (CNRS, წლიური დაფინანსებაა 3,4 მილიარდი ევრო), იტალიაში – სამეცნიერო კვლევათა ეროვნული საბჭო (CNR, წლიური დაფინანსებაა 1,457 მილიარდი ევრო), ესპანეთში – ესპანეთის ეროვნული სამეცნიერო საბჭო (CSIC, წლიური დაფინანსებაა 1,064 მილიარდი ევრო). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ანალოგიურ ფუნქციას მეცნიერებათა აკადემიები ასრულებენ. უძველესი საუნივერსიტეტო ტრადიციების მქონე ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პოლონეთი,

ჩეხეთი და უნგრეთი, აზრად არავის მოსვლია აკადემიების, როგორც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთა ერთობების ხელყოფა. პირიქით, ისინი ეროვნულ მონაპოვრებად ჩათვალეს და ოპტიმიზაციის პროცესის გავლის შემდეგ საკმაოდ მაღალი საბიუჯეტო დაფინანსება დაუწესეს.

ჩვენს ზნეობრივ ვალად მიგვაჩნია შემოგთავაზოთ წინადადება საქართველოს მაღალრეიტინგული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბაზაზე ევროპული ტიპის სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის დაარსების თაობაზე. სწორედ ასეთი ცენტრი აღადგენს კვლევით ინსტიტუტებს შორის კარგა ხნის წინ გაწყვეტილ სამეცნიერო კავშირებს და სათავეს დაუდებს ქართული მეცნიერების აღმავლობის ახალ ეტაპს. ინტელექტუალურ ფასეულობათა შექმნასთან ერთად ცენტრის ძირითად ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადება. ცენტრში შემავალი ინსტიტუტები უნდა ახორციელებდნენ სადოქტორო პროგრამებს, ამასთან, ამავე ინსტიტუტებში უნდა იყოს შესაძლებელი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების მიერ გრძელვადიანი სამეცნიერო სტაჟირების გავლა და სტუდენტების მიერ სამაგისტრო ნაშრომების მომზადება. მთლიანობაში ცენტრი უნდა აღიქმებოდეს როგორც სამეცნიერო, ისე საგანმანათლებლო სივრცის ორგანულ ნაწილად. სწორედ ამ სივრცეს მოემსახურება ჩვენი ინსტიტუტისათვის დაბრუნებული ისტორიული შენობა. ბუნებრივი იქნება ამავე შენობაში განთავსდეს ე. ხარამის სახელობის აბასთუმნის ობსერვატორიის თბილისის ფილიალი, რომელიც აგერ უკვე 10 წელია უსახლკაროდ არის დარჩენილი.

თუ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ითავეს სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრის დაარსებას, ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი დიდ პატივად ჩათვლის ითანამშრომლოს თქვენთან ცენტრის კონცეფციის შესამუშავებლად.

პატივისცემით,

თსუ ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

სამეცნიერო საბჭოს წევრები:

თენგიზ ბუჩუკეი
თამარ დაიუაშვილი
ლევან კანანაძე
გიორგი დვნიჯაშვილი
ვანო ჯაფარიძე

ბიჭო ტრიკოპაშვილი
ქსენია კვინიძე
ივანე იოსელიანი
ალექსანდრე მესხი
გიორგი შორჭაძე

ნინო ფარცვაძე

მელაქი
ნატონ ნიკოლოძე
ალექსანდრე გოთფრედ
სერგო ხაბიბეაშვილი
თამარ ჭოხაძე
მიხეილ მანია
ნათი ჭაბუა
ნუგზარ შკოლნაძე

18.12.2019 წ.